ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 39

20 15 წ. "04" 09

ქ.თბილისი

ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 242576636) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2. ა(ა)იპ - ცაგერის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 91-ით.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 4 სექტემბრის №6 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე